# განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება

AR 1207489 (27.03.2014) ვეფხვია დვალი

პროექტი აერთიანებს ორ მრავალფუნქციურ კომპლექსს პირობითი სახელწოდებით, სოლოლაკის მაღლობი და სოლოლაკის ბაღები, რომლებიც დაუკავშირდებიან ერთმანეთს დახრილი ლიფტების მეშვეობით.

პროექტი წარმოადგენს ტერასულ ნაგებობას, რომელიც არქიტექტურულად შერწყმულია ლანდშაფტთან, ტერასის სიგანე 5-10 მეტრია რომელზეც ირგვება ხეები. გამწვანებული ტერასების საერთო ფართი შეადგენს 20, 000 მ².

კონსტრუქციულად იგი შედგება დიდი მალებისაგან რაც გვაძლევს გეგმარების თავისუფლებას.

ქალაქის ცენტრალური და ისტორიული უბნები დაუკავშირდება გამწვანებულ შემოგარენს 2 საბაგირო გზით. პროექტის უნიკალურობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ქალაქის მსხვილ ტურისტულ და ბიზნეს ცენტრს შორის დღის ყველაზე დატვირთულ პერიოდშიც კი გადაადგილება შესაძლებელი იქნება ავტოტრანსპორტის გარეშე, სწრაფად და მოხერხებულად, საბაგირო გზებისა და დახრილი ლიფტების საშუალებით. ამასთან, პანორამული შუშის კაბინებით მგზავრობისას დამთვალიერებლებს დედაქალაქის ულამაზესი ისტორიული ხედებით დატკბობის საშუალება მიეცემათ.

პროექტი იმითაც არის შესანიშნავი, რომ იგი მწვანე არქიტექტურის უპრეცედენტო მაგალითს წარმოადგენს. მის ფარგლებში და მის შემოგარენში დაირგვება 30,000 ახალი ხე რაც საგრძნობლად გააჯანსაღებს ქალაქის ეკო სისტემას.

პროექტის დამატებითი უპირატესობა თანამედროვე ავტოსადგომების ინფრასტრუქტურის განვითარებაში მდგომარეობს. მოეწყობა მიწისქვეშა ავტოსადგომი რომელიც სრულიად დააკმაყოფილებს კომპლექსის მოთხოვნებს.

მრავალფუნქციური კომპლექსების საშუალებით თბილისში შესაძლებელი გახდება მასშტაბური საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზება და მასპინძლობა, რაც ჩვენს დედაქალაქს რეგიონში უფრო დიდ მნიშვნელობას და დატვირთვას შესძენს. დახრილი ლიფტები, საბაგირო გზები, და სხვა არქიტექტორული თუ ტექნიკური კომპონენტები საკმაოდ ძვირადღირებული გადაწყვეტილებებისაგან შედგება.

კომპლექსი მოიცავს სასტუმროებს, სასტუმროს ტიპის აპარტამენტებს, A კლასის საოფისე და სავაჭრო ფართებს, საგამოფენო და საკონფერენციო დარბაზებს, გამაჯანსაღებელ და

დასასვენებელ ცენტრებს, სპორტულ მოედნებსა და აუზებს და ყველა იმ აუცილებელ ინფრასტრუქტურას, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუმრებისთვის სრულყოფილი სერვისების მიწოდებას. ამასთან ერთად სოლოლაკის მაღლობის სახურავზე მოეწყობა ვერთმფრენის მოედანი.

**განმხადებელი ვეფხია დვალი**
AR1209124 (02.04.14.)

გთხოვთ დაგვიდგინოთ და გასცეთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები ქ.თბილისში, სოლოლაკში, კოჯრის გზატკეცილზე, ბიზნეს ცენტრისა და "სტელა ტბილისის" მიმდებარედ, მრავალფუნქციური კომპლექსის ასაშენებლად.


მაყაშვილი კოტეს აღმ
ა გზატკ.


011507007033
011507007031
011507007030
011507007032
011507007021
011507007007
011507007018
011508005006
011507007003



